რამაზ ოთინაშვილი

ინოვაციური განვითარება და ბიზნესის კონკურენტუნარიანობა

ეკონომიკა კონკურენტუნარიანია, თუ მისი ეკონომიკური ინსტიტუტები და პოლიტიკა უზრუნველყოფენ ქვეყნის მდგრად და სწრაფ ეკონომიკურ ზრდას. თანამედროვე პირობებში სახეზეა ეკონომიკური პოლიტიკის ცვლილების ტენდენცია _ უარის თქმა პირდაპირი რეგულირების მეთოდებზე და ძალისხმევის გააქტიურება ეროვნული წარმოების კონკურენტუნარიანობის ამაღლებაზე ინოვაციური განვითარების სტიმულირებით.

კრიზისის დროს ბაზრის, როგორც განვითარების ლოკომოტივის როლი მკვეთრად იზრდება. მ. პორტერი კონკურენტულ უპირატესობათა კონცეფციის ავტორი, ცალკეული ქვეყნის ეკონომიკას განიხილავს როგორც თვითგანვითარებად სინერგეტიკულ სისტემას, რომელიც განისაზღვრება ამ ქვეყნის სპეციფიკით. კონკურენტული უპირატესობის მიღწევის ყველაზე ტიპურ ნოვაციად ითვლება: ახალი ტექნოლოგიები, მყიდველთა ახალი ან შეცვლილი მოთხოვნა, დარგის ახალი სეგმენტის გამოჩენა, სახელმწიფო რეგულირების ცვლილება და ა.შ.

ასევე მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს ქვეყნის კონკურენტული უპირატესობის ფაქტორთა დახასიათება, რომელიც მთავარ (ძირითად) და განვითარებულ ფაქტორებად იყოფა, რომლებიც უფრო მნიშვნელოვანია კონკურენტული უპირატესობის მიღწევისთვის, ყოველთვის ხელოვნურია, მემკვიდრეობით არ გადმოდის, არამედ ქვეყანაში იქმნება სხვადასხვა პროცესთა ზეგავლენით.* აღნიშნულიდან გამომდინარე არსებითი როლი ენიჭება იმ პროცესთა სტიმულირებას, რომლებიც ხელს უწყობენ კონკურენტული უპირატესობის მიღწევისთვის მნიშვნელოვან ფაქტორთა შექმნას.

`გლობალური კონკურენციის გაძლიერებასთან ერთად გაჩნდა მოსაზრებები, თითქოს ქვეყნების მნიშვნელობა შემცირდა. სინამდვილეში ყველაფერი პირიქითაა: ინტერნაციონალიზაციამ და პროტექციონიზმისა და კონკურენციისათვის სხვა დაბრკოლებების აღმოფხვრამ მხოლოდ გააძლიერა ქვეყნების როლი. *ჩ. ფრიდმენი და რ. ნელსონი* ხაზს უსვამენ თანამედროვე ეკონომიკურ განვითარებაში სახელმწიფოთი განპირობებული ისეთი ფაქტორების წამყვან როლს, როგორიცაა მეცნიერული სკოლების არსებობა, განათლებისა და კადრების მომზადების ხარისხი, საინფორმაციო ინფრასტრუქტურის განვითარება, სხვადასხვა ინსტიტუტების სიმწიფის ხარისხი, ბიზნესის წარმართვის კულტურა და ზოგადი კულტურის საერთო დონე [1].

ბოლო პერიოდში გაიზარდა სახელმწიფოების ძალისხმევა გრძელვადიანი სამეცნიერო-ტექნიკური

---

* Портер М. Международная конкуренция. Москва, 1993.

პროგრამების განსავითარებლად, რომლებიც მიმართულია ინოვაციური ბიზნესის ყოველმხრივი სტიმულირებისაკენ. ეროვნული ინოვაციური სისტემების ორგანიზაციისას ფართოდ გამოიყენება მართვის ქსელური პრინციპი მათი რთული ინფრასტრუქტურით _ ვენჩურული ფონდები, ინოვაციური ინკუბატორები, უნივერსიტეტები, სახელმწიფო და კერძო კვლევითი ლაბორატორიები გაერთიანებულია ტექნოპარკებში. ამასთან, სახელმწიფო განსაზღვრავს კვლევის ძირითად მიმართულებებს და ახორციელებს მათ კოორდინაციას. გამოყოფს რა ამ მიზნებისთვის მნიშვნელოვან საბიუჯეტო სახსრებს. შედეგად, ადგილი აქვს მართვის მთავარი ტიპების _ ქსელურის, მბრძანებლურისა და საბაზროს მოქნილ შეხამებას.

ქართულ ეკონომიკურ მეცნიერებაში კონკურენტუნარიანობის ფენომენი ნაკლებადაა შესწავლილი. ამ პრობლემისადმი მიძღვნილ შრომებში კონკურენტუნარიანობის მიღწევა განიხილება არსებული რესურსების ოპტიმალური გამოყენების, მწარმოებლურობის ამაღლების, ფარდობითი უპირატესობების გამოვლენის უმთავრეს პირობად.

აშშ-ში 2003 წ. მიღებულია პროგრამა `ეროვნული ინიციატივა ნანოტექნოლოგიების დარგში" [2]. იაპონიაში 2004 წლიდან ტარდება ახალი სამრეწველო პოლიტიკა, რომლის მიზანია ინოვაციური ინფრასტრუქტურის განვითარების დაჩქარება, სამეცნიერო-კვლევითი კონსორციუმების შექმნა მეცნიერების პრიორიტეტულ მიმართულებებში [3]. მსგავსი პროცესები მიმდინარეობს ევროკავშირის ქვეყნებშიც. 2004 წ. ლისაბონში მიღებულია ევროკავშირის ქვეყნების ინოვაციური განვითარების სტიმულირების გეგმა. მისი რეალიზაცია ხდება მთავრობათა ხელმძღვანელობით. მაგალითად, ფინეთსა და ესპანეთში სამეცნიერო-ტექნიკური პოლიტიკის საბჭოებს სათავეში უდგანან პრემიერ-მინისტრები. უახლესი ტექნოლოგიების განვითარების სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამები წარმატებით მოქმედებს ჩინეთში, ინდოეთში და რიგ სხვა განვითარებად ქვეყნებში.

გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ინოვაციური განვითარების პრობლემა არ შემოიფარგლება მხოლოდ სამეცნიერო-ტექნიკური ასპექტით. იგი მოიცავს სოციალურ საკითხთა ფართო სპექტრს _ განათლებას, ჯანდაცვას, ცხოვრების დონეს, რომლებზედაც დამოკიდებულია მაღალკვალიფიციური მუშახელის შექმნა და ახალი სახის საქონელსა და მომსახურებაზე მოსახლეობის გადახდისუნარიანი მოთხოვნის უზრუნველყოფა.

სოციალურ-ეკონომიკური და სამეცნიერო-ტექნიკური პრობლემების ურთულესი კომპლექსის გადაჭრა შეუძლებელია სახელმწიფოსა და სამოქალაქო საზოგადოების მჭიდრო თანამშრომლობის გარეშე. აღნიშნული, თავის მხრივ, მოითხოვს გარკვეულ ცვლილებებს სახელმწიფო მართვის სტრუქტურებში, რომლის ვექტორია გადაწყვეტილებათა მიღების დეცენტრალიზაცია [4]. ეს პრინციპი რეალიზებულ იქნა მრავალდონიანი მართვის კონცეფციაში. იგი შემუშავდა ედინბურგის უნივერსიტეტში და საფუძვლად დაედო დიდი ბრიტანეთის ინოვაციური განვითარების გრძელვადიან სახელმწიფო პროგრამას, რომელიც გულისხმობს იმ მოქმედებათა შე-

თანხმებას, რომლებიც წარმართავს ინოვაციურ და სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას რეგიონულ, ქვეყნებისა და ქვეყანათაშორის (ევროკავშირი) დონეზე [5].

დისკუსიებში გლობალიზაციის პრობლემების ირგვლივ სამოქალაქო საზოგადოების როლი გადაწეულია უკანა პლანზე და ძირითადი ყურადღება მიმართულია ურთიერთობებზე ბაზარსა და სახელმწიფოს შორის. მაგრამ გლობალური მსოფლიოს განვითარების საკითხების დაყვანა ნეოლიბერალიზმისა და დირიჟიზმის კონცეფციების დაპირისპირებაზე ნიშნავს საქმის არსის ძლიერ გამარტივებას. გასათვალისწინებელია თავად საზოგადოების აქტიური როლი. *ჯ. სტიგლიცის* `დიქოტომია ბაზარი-სახელმწიფო არის ზედმეტი გამარტივება. არსებობს კოლექტიური ქმედებების აუცილებლობა. მაგრამ ფორმები აქ მრავალგვარია. თავისუფალი ბაზრის აპოლოგეტები არა მხოლოდ ზედმეტად აფასებენ საბაზრო მექანიზმის როლს, ისინი ჯეროვნად ვერ აფასებენ არასახელმწიფო ფორმების, კოოპერაციული საქმიანობის პოტენციალს ისევე, როგორც სახელმწიფოს იქ ყოფნის აუცილებლობას'' [6].

ამ პრობლემის ზოგიერთი მხარე განხილულია ინგლისელი მეცნიერების ნაშრომში `სახელმწიფო და ბაზარი განვითარებაში. სინერ-გია თუ მეტოქეობა?'', რომლის ძირითადი ასპექტებია:

1. კონსტრუქციული ურთიერთობა სახელმწიფოსა და ბაზარს შორის შეუძლებელია სამოქალაქო საზოგადოების მონაწილეობის გარეშე;
2. სახელმწიფო არის ინსტიტუტი, რომელმაც შეიძლება ხელი შე-უწყოს, როგორც ქვეყნის განვითარებას ისე მის დეგრადაციას. აღნიშნული დამოკიდებულია სახელმწიფოსა და საზოგადოებას შორის ურთიერთობის ხასიათზე;
3. სუსტმა სახელმწიფომ ეკონომიკურად რაციონალური ქმედებების გამოყენებით შეიძლება მიიღოს არარაციონალური შედეგები;
4. სახელმწიფოს სიძლიერე არ განისაზღვრება ავტორიტარიზმით. მისი საფუძველი სამოქალაქო საზოგადოებაა;
5. ურთიერთობა სახელმწიფოსა და სამოქალაქო საზოგადოებას შორის შეიძლება დახასიათდეს როგორც `კოოპერაციული კონფლიქტი'', რომლის დროს საზოგადოების ინოვაციური აქტივობა კორექტირებას უკეთებს სახელმწიფოს ქმედებებს [7].

პრინციპულად მნიშვნელოვანია სახელმწიფოს როგორც ინსტიტუტის, დამოუკიდებლობა, რომელიც მოწოდებულია საზოგადოების ინტერესები დაიცვას გავლენიანი ელიტებისგან. ოლიგოპოლიური ბაზრის პირობებში ტრანსეროვნული კორპორაციების ბატონობისას მეტად მნიშვნელოვანია ბიუროკრატიული აპარატის ზედაფენის ოლიგარქებთან შეზრდისა და მათთვის სახელმწიფო პოლიტიკის დაქვემდებარების საფრთხე. ამ საფრთხის თავიდან აცილება შეუძლია მხოლოდ ძლიერ სამოქალაქო საზოგადოებას, რომელსაც ძალუძს მოხელეებისა და ტრანსეროვნული კორპორაციების ქმედებების გაკონტროლება. სახელმწიფოსა და სამოქალაქო საზოგადოების ურთიერთქმედებას, *გიდენსის* მიხედვით, შეუძლია შექმნას სინერგეტიკული ეფექტი, რომელიც საზოგადოებრივ სისტემას გაიყვანს

ორგანიზაციის უფრო მაღალ საფეხურზე, რომელიც იძლევა გლობალიზაციის გამოწვევებზე ადეკვატური პასუხის გაცემის საშუალებას [8].

ინსტიტუტების ხარისხის ერთ-ერთი განმსაზღვრელი კრიტერიუმია ფავორიტიზმისა და კორუფციის დაძლევა. როგორც ჩანს ეს ნეგატიური მოვლენები გვხვდება ყველა ქვეყანაში, თუმცა სხვადასხვა ხარისხით. არსებობს პირდაპირი დამოკიდებულება ანტიკორუფციული კონტროლის ეფექტიანობასა და ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ინდექსს შორის უახლოეს პერსპექტივაში _ კორელაციის კოეფიციენტი უდრის 0.9-ს [9].

საქართველოში აღნიშნული ხასიათის კვლევები ჯერ არ ჩატარებულა. სახელმწიფოსა და სამოქალაქო საზოგადოების ურთიერთქმედების სოციალური ეფექტიანობა ადრე საკმოდ დაბალი იყო. თუმცა, ბოლო პერიოდის რეფორმების შედეგად პოზიტიური სიმპტომები შეინიშნება. ამას მოწმობს საქართველოს მზარდი რეიტინგები სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციებში _ ბიზნესის წამოწყების და წარმართვის სიმარტივის, კორუფციის მასშტაბების შემცირების, სამართალდამცავი სტრუქტურების მიმართ ნდობის ამაღლების კუთხით.

RAMAZ OTINASHVILI

INNOVATIVE COMPETITIVENESS AND IMPROVEMENT OF BUSINESS

S u m m a r y

Against background of current world economic crisis, the governmental functions are subject to certain transformation. Business internationalisation reduces effectiveness of protectionism. In result, trend of change of the economic politics – rejection of the direct regulation methods and activation of efforts for improvement of competitiveness of the national production

In the crisis period, the role of market of a country, as a locomotive of development, increases dramatically. Interaction of the state and civil society institutes may create the synergy effect, which would move the social relations to the higher level of organization and provide opportunity to respond adequately to the global challenges.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Freemen C. Technology Policy and Economic Performance: Lesson from Japan. L., 1987. Nelson R. National Innovation Systems: A Comparative Analysis. N.Y., 1993.
2. Science and Engineering Indicators. National Science Board. Wash., 2004.
3. Research-Technology Management. 2004. V. 47. №6.
4. North D. Transition Costs, Institutions and Economic. Performance. San Francisco, 1992.
5. Lyall C., Tait Y. Foresight in a Multi-level Governance Structure: Policy Integration and Communication // Science and Public Policy. 2004. V. 31. №1.
6. Стиглиц Дж. Указ. соч. С. 359.
7. State and Market in Development. Synergy or Rivalry? L., 1992.
8. Giddens A. A. Third Way and its Critics. L., 2000.
9. World Economic Forum. The Global Competitiveness Report 2005-2006.